ადრესატი:

გიორგი გაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**##########**
თარიღი: **09/09/2024**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 10

დ. ლენტეხი. 06/09// 2024 წ.

მიმდინარე წლის 6 სექტემბერს დღის 3 საათზე ჩატარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ;

ლენტეხის საკრებულოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა, წევრები- დავით პირველი, მევლუდ ლიპარტელიანი, ირაკლი ქურასბედიანი, სპეციალისტი ცოტნე ქურასბედიანი და მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი გერმანე ქურასბედიანი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი;

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წლის ექვსი თვის ანგარიშის მოსმენა. /მომხ. / გ. ქურასბედიანი./**

მოისმინეს: მერიის საფინანსო-სამსახურის უფროსმა გ. ქურასბედიანმა კომისიის წევრებს გააცნო 6 თვის ანგარიშით შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის შესახებ სრული და ობიექტური ინფორმაცია. საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტის სამსახურს ჩატარებული აქვს წლიური გეგმით გათვალისწინებული სამი ობიექტის აუდიტორული შემოწმება .

1. ა(ა)ი პირების ლენტეხის ფერმერული მომსახურების სერვის ცენტრი.

2. ა.(ა)ი პირების ო. ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრი.

3. ა(ი)ი პირების ლენტეხის თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი.

შემოწმება ჩატარდა ფინანსური ანგარიშების სისწორეზე. შესამოწმებელი პერიოდი 01.01.2022 წლიდან 01.01.2024 წლამდე. შემოწმებული იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები. ფერმერული მომსახურეობის სერვისცენტრის 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 76000 ლარს . რომელიც გახარჯულია ხელფასებსა და საწვავის ხე მასალების (შეშის) შეძენაზე კერძოდ 75250 ლარს შეადგენს სახელფასო სუბსიდია, ხოლო 750 ლარს შეადგენს საწვავი. რაც შეეხება 2023 წლის ბიუჯეტს იგი შეადგენს 91270 ლარს. სადაც 89220 ლარი შეადგენს თანამშრომელთა ხელფასებს. 1120 ლარი საწვავი, 500 ლარი ელექტრო გამათბობლების შეძენა, 430 ლარი მოხმარდა ვეტექიმების ხელფასების ზრდას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მერიის მხრიდან გაეწიოს დახმარება აღნიშნულ ა(ა)ი პირს აგრო ქიმიკატების სარეალიზაციო ცენტრის გახსნაში. რადგან რაიონში მსგავსი სარეალიზაციო ცენტრი არ არსებობს.

ლენტეხის თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრის ფუნქციონერებისათვის დაიხარჯა 2022 წელს 209000 ლარი რომელიც სრულიად მოხმარდა თანამშრომელთა ხელფასებს, ხოლო 2023 წელს დაიხარჯა 247205 ლარი საიდანაც 240855 ლარი დაიხარჯა შრომის ანაზღაურებაზე, 1860 ლარი საოფისე ხარჯისთვის, 1390 ლარზე დაიდო ხელშეკრულება ი/მ ზაზა ჩანქსელიანთან კომპიუტერისა და მისი მოწყობილობის შესაძენად. დარჩენილი თანხა 470 ლარი გადატანილი აქვს სახელფასო ფონდში. განვითარების ხარჯისთვის გამოყოფილი იყო 4489 ლარი საიდანაც შპს ,,რეპსოლთან'' გადაირიცხა ხელშეკრულების საფუძველზე 119 ლარი. დარჩენილი 351 ლარი საწვავი, 200 ლარი ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი. 2019 ლარი გამოყენებულია სახელფასო ფონდისთვის რის დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს. აქედან გამომდინარე აღნიშნულმა ა(ა)ი პირმა უნდა იხელმძღვანელოს საკრებულოს გადაწყვეტილებით თანხის მუხლიდან მუხლში გადატანაზე. თემებში

მოსახლეობასთან ურთიერთობის ყველა თანამშრომელმა უნდა იცოდეს რომელ თემშია მიმაგრებული და რა სახის დახმარება უნდა გაუწიოს მერიის წარმომადგენელს. ასევე უნდა არსებობდეს შესაბამისი დოკუმენტი.

ა(ა)ი პ. ო. ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრმა 20022 წელს თავისი ფუნქციონერებისთვის დახარჯა 65600 ლარი საიდანაც 56080 ლარი მოხმარდა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას, ხოლო 520 ლარი გაიხარჯა რაგბისა და ფეხბურთის სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებისთვის. 2023 წელს დაიხარჯა71930 ლარი ,აქედან შრომის ანაზღაურებაზე გაიცა 62930 ლარი. ხოლო 9000 ლარი გაიხარჯა რაგბის და ფეხბურთის სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად.

ოლიმპიური მომზადების ცენტრმა უნდა შეიმუშავოს გეგმა და შესაბამის სამსახურ წარუდგინოს რათა მომავალში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას მოწინავე სპორტსმენებზე ფულადი დახმარება, რომელიც ერთგვარი წახალისება იქნება.

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ წარმოადგინა წინადადება ა(ა)ი პირების დამტკიცებულ ბიუჯეტების მუხლიდან მუხლში გადატანა უნდა იყოს საკრებულოს გადაწყვეტილებით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის 6 თვის ანგარიში წარმოდგენილი სახით გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

ლამზირა გუგავა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე